

საპროფესორო სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

6 პერიდი, ხუთშაბათი, 1989 წ. № 67 (9986) შპსი 3 კაპ.

გამოცემის 1934 წლის 13 პერიდიდან

სსრ კავშირის ჩემპიონატი კალათბურთში

„დინამო“ სახმს იცვლის

თბილისი. კიროვის სახელობის პარკის ბავშვთა კალათბურთის სახალმ. 4 აპრილი.

„დინამო“ (თბილისი) — „შახტიორი“ (დონეცკი) 104:91 (62:45).

„დინამო“: კროპაჩოვი (25), ხანაძე (21), ზენგელია (21), კოლიჩევი (18), ტიუბინი (10), დარხაძე (5), ფერიაშვილი (2), უსტიაშვილი (2), ვაშაყიძე.

„შახტიორი“: ერმოლინსკი (19), უარკოვი (18), პოლივანოვი (16), კაჩურა (12), ლუკიანენცი (9), შეხტოპალი (8), ივანენკო (5), ოკუნსკი (4), გაზაევი (2), პოლშინი.

მსაჯები — ა. ზაიხი (კაუნახი) და ვ. ზაიცევი (მოსკოვი).

ბოლო დროს თბილისის დინამოელთა თამაშში თვისობრივი გარდატეხა მოხდა, რასაც, რა თქმა უნდა, მხოლოდ სატურნირო კონიუნქტურასა და მოახლოებული ფინის სიმბაფრეს ვერ დავებრალვებთ. პასუხისმგებლობას საკუთარი თავისა და მრავალრიცხოვანი გულშემატკივრების წინაშე კოლექტივი ტურნირის დასაწყისშიც და მერც ერთნაირად გრძობდა. მაგრამ „დინამო“, სამწუხაროდ, მაშინ სხვა გუნდი იყო, დღეს კი სხვა გახლ-



ეროვნული გიგლიოთეკა

იხ. გვ. 2 33

რესპუბლიკის სადირექტივო ორგანოების მხარდაჭერით საბჭოთა კავშირში პირველად საქართველოში შეიქმნა სიჯანსაღისა და სპორტის საქველმოქმედო ფონდი. ამ ფონდის შექმნა ჩვენი საერთო მონაპოვარია. საქართველო სპორტული რესპუბლიკაა, საქართველო სიჯანსაღის რესპუბლიკაა. დარწმუნებული ვარ ფონდის შექმნა დიდ სტიმულს მისცემს ჩვენს შემდგომ წინსვლას ამ სფეროში. ახლა ყველაფერი დამოკიდებულია ჩვენს საერთო ენთუზიაზმსა და ძალისხმევაზე, დაე იმრავლონ ჩემპიონებმა და რეკორდსმენებმა, დაე მარად სიჯანსაღე იყოს ჩვენი ერის ერთი გამორჩეული თვისება. ფონდისადმი თქვენი მხარდაჭერა, ძვირფასო მეგობრებო, ამ მიზნის კეშმარიტი დასტური იქნება“.

ნონა გაფრინდაშვილი, სიჯანსაღისა და სპორტის საქველმოქმედო ფონდისა და ამ ფონდის მზრუნველთა საბჭოს თავმჯდომარე; სპორტის დამახარებელი ოსტატი, მსოფლიოს ხუთჯანსაღის ჩემპიონი კადრაქვი.

306 აკვს SOS პასუხს?

როგორც იცით, 1-2 აპრილს ჩვენი რესპუბლიკის სოფლებსა და ქალაქებში უნდა ჩატარებულიყო ტრადიციული მასობრივი სპორტული ღონისძიებები. უნდა ჩატარებულიყო — ვამბობ იმიტომ, რომ, სამწუხაროდ, ზოგან უღალატეს ტრადიციას და თავი აარიდეს ცოცხალ, პრაქტიკულ საქმეს. გურჯაანში, მაგალითად, ამ დღეებში ვერც ერთი ღონისძიება ვერ ვიხილეთ, ახმეტაში ერთადერთი ღონისძიება მოეწყო — პროფკავშირთა სპორტსაზოგადოებების რაიონული საბჭოს პირველობა კადრაქვი, პროფკავშირების სპორტსკოლის მოჭიდებებს კი რიგითი სანვრთნელი მეცადინეობა უტარდებოდათ. შემოვიარეთ რაიონის თხუთმეტი სოფელიც და არსად გვინახავს ფიზკულტურელთა თუ სპორტსმენთა გამოსვლები. ამ მხრივ ვერც თელოვის რაიონი მოიწონებს თავს — სპორტულ-გამაჯანსაღებელ ღონისძიებებს აქაც ეპიზოდური ხასიათი ჰქონდა და ამჟამად აკლდა მასობრიობა.

აღნიშნული ფაქტები ერთხელ კიდევ მიგვიანინებს იმაზე, რომ ჩვენში მასობრივი სპორტი ვერ კიდევ ჩამორჩება დიდ სპორტს, არადა, საქართველოს სპორტსმენთა მიერ დიდ სპორტში მიღწეული წარმატებები მასობრივი სპორტის განვითარების მაღალ დონეზე უნდა გულისხმობდეს.

ალექსანდრა გაბოშვილი. გურჯაანი — ახმეტა — თელიკი.

გაგარჯვეზონი

აჭარის სპორტსაქომა შეაჯამა აკტონომიურ რესპუბლიკაში ფიზკულტურულ-სპორტულ ორგანიზაციითა შორის გაშლილი სოციალური შეჯიბრების შედეგები და გამარჯვებულებად სცნო: საქალაქო და რაიონულ სპორტკომიტეტებს შორის — ქ. ბათუმის სპორტკომიტეტი (პირველ ჯგუფში), ქედის რაიონული სპორტკომიტეტი (მეორე ჯგუფში); ქ. ბათუმის საყოფაცხოვრებო მინიანთსაშენი ქარხანა (საწარმოო ფიზკულტურული კოლექტივები); ქობულეთის რაიონის სოფელ ბობოყეთის კოლმეურნეობა (სოფლის ფიზკულტურული კოლექტივები); ქ. ბათუმის საზღვაოსნო სასწავლებელი (საშუალო სპეციალური სასწავლებლები); ქ. ბათუმის №3 საშუალო სკოლა (ზოგადსაგანმანათლებლო სკოლები).

ლევან მავთავაძე.



პაპბ. საქართველოს ძიუდოისტთა ნაკრებმა გუნდმა აქ გამართულ საერთაშორისო ტურნირზე მოიპოვა 6 ხაპრიზო ადგილი. გაიმარჯვეს გურამ მოღდებაძემ და ვლადიმერ დგებუაძემ, მეორე ადგილებზე გაევიტენ ენვურ გოგინაშვილი და დავით ხახალიაშვილი, მესამეზე — ვახტანგ ჯაფარიძე და დავით ბაგაური.

ახალი მოთხოვნები

სსრ კავშირის სპორტსაქომა დაამტკიცა ახალი ერთიანი საკავშირო სპორტული კლასიფიკაცია 1989-1992 წლებსათვის, რომელიც ძალაში შევიდა წელს, 1 აპრილიდან. ერთიანი საკავშირო სპორტული კლასიფიკაცია საბჭოთა ფიზკულტურული მოძრაობის მნიშვნელოვანი სანორმატივო დოკუმენტია, რომლის დანიშნულებაა უზრუნველყოს საბჭოთა ხალხის, პირველ ყოვლისა, ახალგაზრდა თაობის სპორტული ოსტატობის დონის განმსაზღვრელი ერთიანი სისტემა. იგი მტკიცედ უკავშირდება ჩვენს ქვეყანაში დაწესებულ სპორტის ყველა სახეობაში ასპარეზობათა სისტემას და ხელს უწყობს სპორტის მასობრიობისა და საბჭოთა სპორტსმენთა ოსტატობის ზრდას. ერთიანი საკავშირო სპორტული კლასიფიკაციის სოციალური ფუნქცია კი არის ის, რომ ზელო შეუწყოს ახალგაზრდა თაობას ფიზიკური სრულყოფის მიღწევაში, მოამზადოს იგი შრომისა და სამშობლოს დაცვისთვის. 1989-1992 წლების ერთიანი საკავშირო სპორტული კლასიფიკაციის კონკრეტული მიზნებია: ხელი შეუწყოს ახალგაზრდობას სპორტული ინტერესების ჩამო-

ყალიბებაში; უზრუნველყოს სპორტული შედეგების შეფასების ერთიანი სისტემის შექმნა; დაეხმაროს საბჭოთა სპორტსმენებს დიდი საერთაშორისო შეჯიბრებებისთვის მომზადებაში. ერთიანი საკავშირო სპორტული კლასიფიკაციით სპორტსმენებს მიენიჭებათ შემდეგი წოდებები და თანრიგები: სპორტული წოდებები — „სსრ კავშირის საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი“, „სსრ კავშირის დიდოსტატი“, „სსრ კავშირის სპორტის ოსტატი“; სპორტული თანრიგები — „სპორტის ოსტატობის კანდიდატი“, „პირველი თანრიგი“, „მეორე თანრიგი“, „მესამე თანრიგი“, „მეოთხე თანრიგი“, „მეხუთე თანრიგი“, „მეექვსე თანრიგი“, „მეშვიდე თანრიგი“, „მომზარდა პირველი თანრიგი“, „მომზარდა მეორე თანრიგი“, „მომზარდა მესამე თანრიგი“.

ერთიანი საკავშირო სპორტული კლასიფიკაციის მიზნები და წოდება „მოკავშირე რესპუბლიკის სპორტის ოსტატი სპორტის ეროვნულ სახეობაში“.


მარსელი. ახვეე ძიუდოისტთა საერთაშორისო ტურნირში (იუნიაორები) საბჭოთა ნაკრების შემადგენლობაში მეორე ადგილი წილად ხვდა არსენ ახალაძეს, მესამე იყო ზაზა დაბრუნდაშვილი. პილტონ-პაედი. ამერიკის ამ ქალაქში მიმდინარე ჩოგბურთულ ქალთა საერთაშორისო ტურნირის სტარტზე საბჭოთა სპორტსმენებმა ლეილა მესხმა და ნატალია ზეგერეამ იოლი გამარჯვება მოიპოვეს. მესხმა ჩემოსლოვაკიელ რეგინა მარშკოვას აჯობა — 6:2, 6:1, ზეგერეამ კი ამერიკელ უენდი უაიტს — 6:1, 6:2.

დაჯილდოება რესპუბლიკაში სპორტული ტანჯარჯიშის განვითარებაში შეტანილი წვლილისათვის საქართველოს სპორტსაქომა საპატიო სიგელით და სამახსოვრო მედლით დააჯილდოვა ტიგრან ვლადიმერის ძე უზუნოვი. წოდების მინიშება საბჭოთა კავშირის ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტმა სსრ კავშირის დიდოსტატის წოდება მიანიჭა: კადრაქვი — ნანი იოსელიანს (თბილისი, პროფკავშირები).



ჩვენს დედაქალაქის სპორტულ ბაზებზე მიმდინარეობს თანამედროვე ხუთბრუნოვანი კაბუკა და იუნიაორთა რესპუბლიკური პირველობა, რომელშიც აწერბიჯანელი სპორტსმენებიც სცილან ძალას. ასპარეზობა იმითაცაა ნიშანდობლივი, რომ 40 პონაწილეს შორის „მშვენიერთა სქესის“ წარმომადგენლებიც გამოდიან. კერძოდ, ქუთაისელი მოსწავლე ირინა სტარაქევსკია (პროფკავშირთა სპორტსაზოგადოება) და თბილისელი არბიელი ნატალია სოლოვიოვა, რომლებიც ტოლს არ უღებენ ვაქებს.


დღეს დილით ასკ-ს დაბურულ ტირში ხუთბრუნოვანი პისტოლეტის სროლაში შეეჯიბრებან, საღამოს კი დელისის იზოდრომზე მძლეონურ კროსში გამოვლენ, ზგალ და ზგე ხუთბრუნოვანი ცხენოსნობაში იასპარეზებენ.



სახინარულოა, როცა ფეხბურთში უმაღლესი ლიგის დებიუტანტი თავს გამოიჩინოს „ტოტენჰემის“ წინაშე. ვიდეო თბილისის „დინამოში“. ხარკოვის „მეტალისტთან“ გუშინწინდელ მატჩში ეს ახალგაზრდა თბილისის „დინამოს“ მთავარმა მწვრთნელმა თამაშის მეორე ნახევარში გამოიყვანა მანდორჩე. პირველი ზურთი სწორედ კახი კავარავამ ვაჯახა მეტოქის კარში (მატჩის ანგარიში იხ. გვ. 33) კვირდზე. ა. კოტორაშვილის ფოტო.

საპროტა კავშირის ჩამოშორები ფეხბურთში

„დინამო“ (თბილისი) — „მეტალისტი“ (ხარკოვი) 2:1 (0:0)
თბილისი. ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს“ სტადიონი. 4 აპრილი.
„დინამო“: ვაბელია, კეტაშვილი, ცხადაძე, ჭეიძე, ჯიშკარიანი, თე-
დეგიანი, ნაძე, ცხეიძე (კაჭარავა, 46), ცაავა, ფანცულაია, გოგიანიშვი-
ლი (საბაია, 66).



ხარკოვის „მეტალისტი“ ბო-
ლო ხანებში უმძლავრესი ლიგის
აუტაიდერს ვერ უწოდებ. შარ-
შანდელ ჩემპიონატში გუნდმა ზა-
ვისთვის მებრძოლი საბატიო მე-11
ადგილი დაიკავა და წლეულს
თბილისში მიმდინარე გათამაშე-
ბის ერთ-ერთი ლიდერის როლში
მოგვევლინა, რომელმაც სულ ახ-
ლახან სენსაციური მოხდინა და მე-
ტალისტის მინდორზე ანგარიშით 3:0
დაამარცხა მოსკოვის „დინამო“.

თის მინდორზე მინდორზე ბევრი
რამ ისეთი შეიძლება მოხ-
დეს, რომ მერე ინანო ორივე
მოთამაშის ასეთ დროს შეიკე-
ლა, როცა დაგვირგებდა ცვლი-
ლები, ეტყობა, რაღაც გარკვეუ-
ლი, გნებავთ ტაქტიკური მოსაზრებით.
მაგრამ „მეტალისტის“ მწვრთნე-
ლებს, ეტყობა, რაღაც გარკვეუ-
ლი, კონკრეტული მიზანი ამოძრა-
ვებდათ, შესაძლოა, მათ მეორე ტა-
იმის დასაწყისიდანვე სურდათ გა-
რდატეხის შეტანა თამაშში.

2:0 71-ე წუთზე ასეთ ძნელ
მატჩში თითქმის საბოლოო გამა-
რჯების გარანტიას წარმოადგენ-
და, მაგრამ კვლავ და კვლავ საქი-
რო იყო შეუპოვარი ბრძოლა თი-
თოველ ხარკოველ ფეხბურთელ-
თან, თითოეული რთული მომენ-
ტის მოგება.

დინამოელებსაც ცდა არ დაუქ-
ლიათ თავიანთი პირველი გამარჯ-
ვების მოსაპოვებლად, მაგრამ
77-ე წუთზე მოხდა კახუნი, რომ-
ელმაც შეეძლო დიდი გავლენა
მოეხდინა თამაშზე: ხარკოველთა
ერთ-ერთი ფორვარდი — მარჯვენა
ფლანგიდან შეიჭრა „დინამოს“ სა-
ჯარიმო მოედანზე, მას ჯიშკარიანი
დახვდა, ფეხბურთელები შეე-
ჯახნენ ერთმანეთს, ორივე წაიჭა
და მსაჯმაც 11-მეტრიანზე მიუ-
თითა. ძნელი სათქმელია, იყო თუ
არა ამ მომენტში პენალტი, ყო-
ველ შემთხვევაში, ტრიბუნიდან
სამისო არაფერი ჩანდა. მაგრამ
მაყურებლებმა თავი შეიკავეს ამ
შემთხვევაში ტრადიციული სტა-
ნისგან, არც ჩვენმა ფეხბურთელებ-
მა იღავეს, რაც მათს თავშეკაცე-
ბულობას და დისციპლინობას
უნდა მივაწერიოთ. მსაჯმა ასე მიი-
ჩინა და შეჩერებამაც ზუსტად შე-
ასრულა დარტყმა — 1:2.

კი არ ჩანს და მაყურებელს ისე-
თი შთაბეჭდილება ექმნება, თით-
ქოს დინამოელები სწორედ ახლა,
ამ მომენტში წყვეტენ საკითხს,
თუ რა ქნან და როგორ გაითამა-
შონ ბურთი. გარდა ამისა, თბი-
ლისის „დინამოს“ საერთო არსე-
ნალის ერთ-ერთი უმძლავრესი,
ძალზე ეფექტური და მწვავე ია-
რალია სწრაფი ტემპი. როცა დი-
ნამოელები მაქსიმალური ტემპით
თამაშობენ, მათ წინააღმდეგ ძა-
ლზე ძნელია ბრძოლა, სისწრაფი-
სას ჩვენი ფეხბურთელები უფრო
უქეთესად ფლობენ ბურთს, ვიდრე
მათი შეტოვები. ამიტომაც
ყოველ მატჩში წარმატების მისა-
ღწევად გუნდმა ზღვრული ტემ-
პით უნდა ითამაშოს. ეს მას მხო-
ლოდ სარგებლობას მოუტანს.

სიფრთხილზე ორივე გუნდს თა-
ვიდანვე დაეტყო. მართალია, კე-
ტაშვილმა პირველივე წუთებზე
სახიფათო შეტევა განახორცილა,
შემდეგ კი ვაბელიას მებრძოლი
ბურთის მოგერიება მოუხ-
და სუსტობა, მაგრამ ეს მოხ-
და მხოლოდ დასაწყისში, პირველ
წუთებზე, შემდეგ კი თამაში შუა
მინდორზე დამკვიდრდა, ორივე
გუნდი ბურთის მოკლე, განივი
გადაცემებით მოქმედებდა, ამიტო-
მაც მცდელები თავიანთ მოვალეო-
ბებს: ჯერ კიდევ საჯარიმო მე-
დენამდე წარმატებით ართმევდნენ
თავს. მართალია, რამდენიმე სახი-
ფათო მომენტი შეიქმნა, კერძო-
დ, მიზანს ააცილა ბურთი მენ-
სიკოვამ, ჯიშკარიანის ძლიერი და-
ტყობა მფრთხილმა კეტაშვილმა, მა-
გრამ უპოვარი ბრძოლა უმთა-
ვრესად მაინც მინდორის ცენტრალ-
ურ ზონაში წარიმართა, რამ-
დენადმე მაინც შესაძლებელი უპი-
რატესობა ვერც ერთმა გუნდმა
ვერ მოიპოვა. ტაიმი თანაბარი იყო.
შესვენების შემდეგ „მეტალის-
ტის“ მწვრთნელებმა შეცვლის დრ-
ივე ლიბოტი ამოწურეს. ფეხბურ-
თში ეს გარკვეულ რისკთანაა და-
კავშირებული, ვინაიდან 45 წუ-

გარდატეხა კი მართლაც მოხ-
და, მაგრამ ეს ვაბელიას არა ხა-
რკოველებმა, არამედ თბილისელებ-
მა და იგი ფრთხილ საფუძველი-
ანია. მნიშვნელოვანი გახლდათ,
სასიხარულოა, რომ ამ გარდატე-
ხის ერთ-ერთი ინიციატორი კაჭა-
რავა იყო, რომელმაც მაშინვე, მინდო-
რზე გამოსვლისთანავე ისეთი სი-
მწვავეთ, ისეთი ენერჯითი შეუტია
სტუმრების კარს, რომ მცველთა
შორის ნამდვილი აღრევი გამოი-
წვია. დინამოელთა ერთ-ერთი იე-
რისმის იგი, ამ სიტყვის სრული
მნიშვნელობით, ეკვეთა ხარკოველ-
თა მცველებს, შეკარგეს და
ბრძოლაში გაიტანა გოლი, რომელ-
საც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა
თამაშის შედეგში მსგავსების
თვის. მასპინძლებმა კიდევ უფრო
იწმუნეს თავიანთი ძალებისა, დე-
მაჯერებლად, მეთოდურად და
შეუსვენებლად შეუტეს მებრძო-
ებს. თამაში „მეტალისტის“ საჯა-
რიმო მოედანთან მიმდინარეობდა,
ამ სიტუაციაში აუცილებლად სა-
ჭირო იყო მეორე გოლი, იგი გა-
მარჯვების სიმძლავრე გარანტიას შე-
ქმნიდა დინამოელთათვის, მათაც
ბევრი იბრძოლეს ამ გოლისთვის.
58-ე წუთზე ცაავას შორეული,
მოულოდნელი დარტყმა ძელს
მოხვდა, რამდენიმე ძნელი ბურ-
თი შლივრით კეტაშვილმა, თბი-
ლისელები თითქმის არ მოსცილე-
ბიან მეტოქის ნახევარს და 71-ე
წუთზე მარცხენა ფლანგზე გათა-
მაშებული კომბინაცია ფანცულა-
ია-კაჭარავა-ფანცულაია-„მეტალის-
ტის“ კარში გატანილი მეორე გო-
ლით დამთავრდა.

რა თქმა უნდა, ამის შემდეგ
ბრძოლა კიდევ უფრო გამწვავდა.
ხარკოველი ფეხბურთელები შეე-
ცადნენ ყველაფერი გაეკეთებინათ
ქულის ასაღებლად, ცდა არ დაუქ-
ლიათ, მაგრამ დარჩენილ დროში
მათ, უბრალოდ, ძალა არ ეყოთ
მიზნის მისაღწევად. „დინამომ“
ბოლომდე იბრძოლა და დამსახუ-
რებულ გამარჯვებამ მოიპოვა.
თბილისელთა ამ მატჩს ხარკო-
ვის „მეტალისტიან“ ერთად ვადე-
ვნებდით თვალს ამ სტრიქონების
ავტორი და ფეხბურთის ისეთი
გამორბედილი სპეციალისტები,
როგორებიც არიან ბორის პაიჭაძე,
ნესტორ ჩხატარაშვილი, ოტია
ჯორდანია და გიორგი ბაქანიძე.
ასეთ ავტორიტეტულ „კომისიას“

მბედველობიდან არაფერი გამორ-
ჩება, წვრილმანიც კი, და, სხვათა
შორის, არც გამორჩენია. სპეცია-
ლისტებმა დაბეჯითებით ხაზი გა-
უსვეს, რომ დღევანდელი თბილი-
სის „დინამოს“ თამაშის დონე გა-
ცილებით აღემატება შარშანდელ-
ლისას, დინამოელები მოქმედებენ
მონდომებით, კომბინაციურად, მო-
თამაშეები ბევრს და სასარგებ-
ლოდ მოძრაობენ მინდორზე, უკვე
იგრძნობა მათი კვალიფიციური
ოსტატობა, საკუთარი თავის იმე-
დი და პასუხისმგებლობის გრძნო-
ბა, რაც შარშან ასე გვაკლდა,
ამიტომაც საცხებით ნორმალურია,
რომ თბილისის „დინამოს“ წლე-
ულს შარშანდელზე გაცილებით
უკეთესი შედეგი აქვს. ბ. პაიჭაძე
და „მანი მისინი“ კმაყოფილებით
აღნიშნავენ, რომ დინამოელთა
რიგებში გამორჩნდნენ პერსპექტი-
ული, კარგი მომავლის ფეხბურ-
თელები, ეს უპირველესად შეე-
ხება ცხადაძეს, თედევანს, ფანცულ-
აიას, კაჭარავას და სხვებს. რაც
შეეხება ჩვენს ვეტერან მეკარეს
ოთარ გაბეღიას, მისი თამაში გუ-
ნის წარმატებათა ერთ-ერთი სა-
იმედო საფუძველია.

მაგრამ მხოლოდ ქებით და გუ-
ნდრუკის კმევით არ გვინდა მო-
ვათავით ამ ძნელი მატჩის საან-
გარიშო წერილი. ნაკლოვანებები,
რა თქმა უნდა, არის და რახან
ჩვენმა გუნდმა ბევრ რთულ ხა-
რგებს დააღწია თავი, უნდა ვივა-
რაუდოთ, რომ სხვა ნაკლოვანე-
ბებსაც მალე გამოასწორებს. მა-
გალითად, თავით თამაშისას საჭი-
როა მეტი სიზუსტე როგორც გა-
დაცემების, ისე კარში დარტყ-
მების დროს, გარდა ამისა, ჩვენი
ფეხბურთელები მეტისმეტად შა-
ბლონურად ასრულებენ ბურთის
გათამაშებას ე. წ. „სტანდარტულ-
ი მდგომარეობებიდან“. მოწინა-
აღმდეგის საჯარიმო მოედნის სი-
ახლოვეს გუნდს ზუსტად დამუ-
შავებელი უნდა ჰქონდეს ბურ-
თის გათამაშების რამდენიმე კონ-
კრეტული, მწვავე ვარიანტი, ეს

ფეხბურთი

ლიბა სტარტს იღებს

დღეს, 6 აპრილს, იწყება სსრ
კავშირის საფეხბურთო პირველო-
ბა I ლიგის 22 გუნდს შორის.
მას წინ უსწრებდა ლიგის თასის
გათამაშება, რომელიც ზონებულ
მიმდინარეობდა, თავიანთ ზონებ-
ში გამარჯვებები მოიპოვეს ლან-
ჩხუ (ს „გურია“, ბაქოს „ნეფ-
თჩი“, სტავროპოლის „დინამო“,
გორონევის „ფაქელმა“ და ტაშკე-
ნტის „ფახთაქობმა“.

ევენ „დნებრის“ ყოფილი ფეხბურ-
თელები ე. ტარანი და ს. ბა-
შკიროვი. ყოველ დიდ შეჯიბრებას
წინ უძღვის პროგრესი. ასეა
აქაც. მაგალითად, კიშინიოვის
„ნისტრუს“ მწვრთნელმა ა. ალ-
კებეროვმა განაცხადა, რომ ლი-
გის უმთავრესი ფაქტორია მთაწი-
ნის ლანჩხუთის „გურია“, სადაც
წლეულს გამოვლენ ცნობილი ფე-
ხბურთელები მ. ოლეგორენკო, ა.
დომბროვი და გ. გურული. „გუ-
რია“ კონკურენციას გაუწევინ
ბაქოს „ნეფთჩი“, ალმა-ათის „კა-
ირატი“ და ცსკა. ამ გუნდებსაც
გეგმაში აქვთ უმალესი ლიგაში
დაბრუნება.

საპროტა კავშირის ტურნირზე პირველი

პირველი ჩატარდა 1976-77
წლებში დაბადებულ ჰაბუკ ფეხ-
ბურთელთა საკავშირო ტურნირი,
რომელშიც ტრადიციულად იწყე-
ვენ ზუგდიდის „დინამოს“ ნორჩ
ფეხბურთელებს.
ტურნირში მონაწილეობდნენ ხე-
რსონის, კოლინის, კიშინიოვის,
ლუციის, პინსის, ბრესტის „დი-
ნამოს“ და ამავე ქალაქის სპორ-
ტული სკოლის გუნდები. ზუგდი-
დელმა ჰაბუკებმა ბრესტის სპო-
რტსკოლის გუნდთან ერთად მე-
ორე-მესამე ადგილები გაიყვეს,
ტურნირის ჩემპიონი კი გახდა ხე-
რსონის გუნდი.
ტურნირის „საუკეთესო მეკა-
რის“ პრიზი დაიმსახურა ზუგდი-
დელმა რ. ლურწყაიამ, „საუკეთესო
პომპარდირის“ პრიზი კი ვადაეცა
მის თანაგუნდელს მ. ჯიქიას, რომ-
ლის ანგარიშზე 10 გატანილი ბუ-
რთია.

დსრულდა საქართველოს საფეხბურთო ჩემპიონატი

დსრულდა საქართველოს სა-
ფეხბურთო ჩემპიონატი მონაწი-
ლები II ჯგუფში მოასპარევე გუნ-
დების საგანაგებლო სიების წარ-
დგენა რესპუბლიკის ფეხბურთის
სამმართველოში და რაოდენ ვასა-
კვირია, რომ მთელი რიგი ქალა-
ქებისა და რაიონების სპორტის მე-
სიერეთ ეტყობა არც განხილვებ-
და ამ სიების შესახებ. მაშინ, რო-
ცა ჩვენმა გაზეთმა (ხ. „ლელო“
16. 11. 89) გამოაქვეყნა რესპუ-
ბლიკის საფეხბურთო ჩემპიონატი
მონაწილე გუნდების განაცხადე-
ბის წარდგენის გრაფიკი.

არადავების დღეა

დაიკავს მოსკოვის ახალგაზრდე-
ლო საფეხბურთო სკოლის წარმო-
მადგენლებმა, მომდევნო ადგილებ-
ზე არიან ტაშკენტის „ფახთაქობი“
და თბილისის 35-ე სკოლა.
თბილისელი ტარიელაშვილი
მიჩნეულია ტურნირის საუკეთესო
თავდამსხმელად.

ორი შეხვედრის რადიორეპორტები დაიწყება დღეს 22 საათიდან.
გადასცემენ ქუთაისის „ტორაქოსა“ და კიშინიოვის „ნისტრუს“, აგ-
რეთვე, ბათუმის „დინამოსა“ და გორონევის „ფაქელს“ შეხვედრათა
მსგავსებას.

